- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო

დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა.

იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე სახელშეკრულებო შეთანხმების შედეგად კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს. საწყისი აღიარების შემდეგ ნასესხები სახსრები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტის, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებებში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შეზღუდული ბალანსები არ შედის ფულად საშუალებებში და მის ეკვივალენტებში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ბალანსები, რომლებიც შეზღუდულია, რომ იყოს გაცვლილი ან გამოყენებული ვალდებულების ანგარიშსწორებისთვის სულ მცირე თორმეტი თვით სააღრიცხვო პერიოდიდან, შედის შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფარგლებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების, დაკაპიტალიზებული პროცენტის და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, გაუფასურებული აქტივის ჩამოფასება ხდება უმაღლეს თანხამდე შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა და ამორტიზაცია

მიწა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასარგებლო გამოყენების ვადები (წელი)	
შენობება-ნაგებობები	50
სატრანსპორტო საშუალებები	5
კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
საოფისე აღჭურვილობა	5-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია გამოითვლება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის (5-10 წელი) გათვალისწინებით წრფივი მეთოდით.

საინვესტიციო ქონებისთვის კომპანია იყენებს რეალური ღირებულების მოდელს. საინვესტიო ქონება ყოველწლიურად გადაფასდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ.

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებულ გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე. დივიდენდების განაწილებიდან წარმოშობილი მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადახდილი უნდა იქნას ხარჯებზე და სხვა გადახდებზე, რომლებიც დაკავშირებულია არა-ეკონომიკურ საქმიანობასთან აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დივიდენდების მოგების გადასახადის შედეგები (თუკი არის), რომლებიც განსაზღვრულია ფასს 9-ში (ე.ი. წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებზე მოგებების განაწილებას მათ მფლობელობაში არსებული წილების პროპორციულად) უნდა იქნას აღიარებული:

- იმავდროულად, როცა ხდება ამ დივიდენდების გადახდის ვალდებულების აღიარება; და
- მოგება ან ზარალში, სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში იმის მიხედვით ორგანიზაციამ აღიარა თუ არა წარსული ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა გასანაწილებელი მოგებები, საიდანაც ხდება დივიდენდების გადახდა.

ბასს 28-ის მიხედვით ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში – ინვესტიციის ობიექტების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით მოხდება თითოეული ინვესტიციის მიხედვით.

- ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც არის ახალი სარისკო ინვესტიციის მქონე ორგანიზაცია, ან სხვა პირობითი ორგანიზაცია, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებით თითოეული ინვესტიციის მიხედვით, რათა შეფასდეს მისი ინვესტიციები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.
- თუ რომელიმე კომპანიას, რომელიც არ არის თვითონ საინვესტიციო კომპანია, აქვს წილი რომელიმე ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც არის საინვესტიციო კომპანია, ამ კომპანიას შეუძლია წილობრივი მონაწილეობის მეთოდის გამოყენებისას, გადაწყვიტოს რეალური ღირებულებით შეფასების შენარჩუნება, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო ასოცირებული ან ერთობლივი საწარმოს მიერ შვილობილ კომპანიებში საინვესტიციო ასოცირებული კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს მიმართ. ეს გადაწყვეტილება მიიღება ცალკე თითოეული საინვესტიციო ასოცირებული კომპანიისა და ერთობლივი საწარმოსთვის ამ ორი თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დადგება:
 - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო თავდაპირველად აღიარებულია;
 - ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო გახდება საინვესტიციო კომპანია; და
 - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო პირველად ხდება მშობელი კომპანია.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც სააქციო კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

საემისიო კაპიტალი

საემისიო კაპიტალი არის სხვაობა საწარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

იჯარა

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის გამოყენების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

იჯარის კლასიფიცირება ხდება იჯარის წამოწყების თარიღისთვის, ხოლო მისი ხელახლა შეფასება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები (მაგალითად, საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების), ან სხვა გარემოებების შეცვლა (მაგალითად, მოიჯარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა) არ იწვევს იჯარის ხელახალი კლასიფიკაციის აუცილებლობას მისი აღრიცხვის მიზნებისათვის.

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალი უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექ-ინსპექტირება. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით, რასაც კომპანია ელოდება, რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ შესაძლებელია მომავალში აქტივისგან მისაღები სარგებლის შემცირების ან ვალდებულების ზრდის საიმედოდ განსაზღვრა. მომსახურების გაწევის განმავლობაში წარმოშობილი დანახარჯები გამოითვლება აღიარებული შემოსავლის პროპორციულად.

ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ ის მომავალში არ წარმოშობს ეკონომიკურ სარგებელს, ან იმ შემთხვევაში, თუ არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების პირობებს.

შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

კომპანია შემოსავლებს აღრიცხავს ფასს 15-ის შესაბამისად, რომელიც მოიცავს, მცირე გამოწვევების, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან მიღებულ ყველა ტიპის შემოსავალს. ფასს 15 აქვს 5 ეტაპიანი მოდელი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.

ფასს 15 მოითხოვს სუბიექტებისგან, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

იჯარის გაგრძელების უფლება: როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა: კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები: კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას რეალური ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არა დაკავშირებულ მხარეებთან.

სს „გრინვეი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან:

ამ რედაქციაში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან და მოიცავს ხუთი საბუღალტრო სტანდარტის ცვლილებას.

დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილსა და შემდგომ შეჯამებებში:

ცხრილი – ახალი მოთხოვნები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ადრეული გამოცემა შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები
ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებად (ბასს 1-ის შესწორება)	იან-20	1-იან-24	ბასს 1
გაქირავების ვალდებულება გაყიდვაში და უკუ-გაქირავებაში (ფასს 16-ის შესწორება)	სექ-22	1-იან-24	ფასს 16
არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის შესწორება)	ოქტ-22	1-იან-24	ბასს 1
მოწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები (ბასს 7 და ფასს 7-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-24	ბასს 7, ფასს 7
საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა — (ბასს 12-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-23	ბასს 12

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებად

ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“-ში შეტანილი ცვლილებები ცხადყოფს კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც ვალდებულება არამიმდინარე უნდა ჩაითვალოს: კერძოდ, კომპანიას უნდა ჰქონდეს უფლება ვალდებულების ანგარიშსწორების გადავადების არანაკლებ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში.

გაქირავების ვალდებულება გაყიდვაში და უკუ-გაქირავებაში

ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებები ადგენს დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება გაყიდვისა და უკუ-გაქირავების ტრანზაქციების შემდგომ აღრიცხვას.

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით

ბასს 1-ის ამ ცვლილებამ გააუმჯობესა იმ ინფორმაციის ხარისხი, რომელსაც კომპანიები აწვდიან, როდესაც ვალდებულების ანგარიშსწორების გადავადების უფლება დამოკიდებულია გარკვეულ გარანტიებზე. ცვლილებები ასევე პასუხობს დაინტერესებული მხარეების დაინტერესებას ვალდებულებების კლასიფიკაციის შესახებ.

მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ბასს 7-ის შესწორებები კომპანიებს ავალდებულებს, რომ მათ დამატებითი ინფორმაცია გამოაქვეყნონ მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების შესახებ. ამასთან, ფასს 7-ში აღნიშნული შესწორებები ამ შეთანხმებებს აქცევს ლიკვიდობის რისკის გამჟღავნების მოთხოვნები ერთ-ერთ მაგალითად.

საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა — პილარ II მოდელის წესები

ბასს 12-ის შესწორებები დროებით ათავისუფლებს კომპანიებს გარკვეული ტიპის გადავადებული გადასახადების აღრიცხვისა და გამჟღავნების ვალდებულებებისგან, როდესაც ისინი დაკავშირებულია მეორე საყრდენის საგადასახადო წესებთან. ამასთან, ცვლილებები მოიცავს მიზნობრივ გამჟღავნების მოთხოვნებს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ამ წესებით დაზარალებიან.

ცვლილებების გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი არ არის.

6. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა

ეს გამოცემა არ მოიცავს იმ საბუღალტრო სტანდარტებს, რომელთა ამოქმედების თარიღი 2024 წლის 1 იანვრის შემდეგია.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) მე-30 პარაგრაფი ავალდებულებს კომპანიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს იმ სტანდარტებს და შესწორებებს, რომლებიც უკვე გამოცემულია, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა.

ცხრილი – საბუღალტრო სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა (2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ადრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები
გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორებები)	აგვ-23	1-იან-25	ბასს 21, ფასს 1

6. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა (გაგრძელება)

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა

ბასს 21-ში შეტანილი ცვლილებები კომპანიას ავალდებულებს, რომ მან გამოიყენოს თანმიმდევრული მიდგომა იმის დასადგენად, არის თუ არა ვალუტა გაცვლითუნარიანი და, იმ შემთხვევაში, თუ არ არის, როგორ უნდა განისაზღვროს გამოსაყენებელი გაცვლითი კურსი და რა სახის ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის დამატებითი შესწორება)

IASB-მ 2022 წლის ოქტომბერში ბასს 1-ში შემდგომი შესწორებები შეიტანა, რათა განემარტა, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების გადავადების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას გარანტიების შესრულება მოეთხოვება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც სავალდებულოდ ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან. წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში.

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს.

7. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის ინვენტარი	ტექნიკური აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	9,324,240	22,220,262	16,676	3,155,157	6,112,540	306,148	41,135,023
შეძენა	-	333,553	1,483	274,663	-	14,420	624,119
ჩამოწერა	-	-	-	(2,500)	(96,161)	(3,716)	(102,377)
2023 წლის 31 დეკემბერი	9,324,240	22,553,815	18,159	3,427,320	6,016,379	316,852	41,656,765
შეძენა	-	235,424	28,427	105,737	154,888	1,814	526,290
ჩამოწერა	-	-	-	(1,271,326)	(387,234)	(151,346)	(1,809,906)
2024 წლის 31 დეკემბერი	9,324,240	22,789,239	46,586	2,261,731	5,784,033	167,320	40,373,149
დაგროვილი ცვეთა							
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(1,732,485)	(2,406)	(1,674,625)	(1,823,612)	(146,605)	(5,379,733)
ცვეთის ხარჯი	-	(445,666)	(3,484)	(485,323)	(430,947)	(71,015)	(1,436,435)
ჩამოწერილი აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	1,999	-	1,007	3,006
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(2,178,151)	(5,890)	(2,157,949)	(2,254,559)	(216,613)	(6,813,162)
ცვეთის ხარჯი	-	(452,956)	(4,421)	(295,683)	(408,841)	(45,950)	(1,207,851)
ჩამოწერილი აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	1,267,171	387,234	151,309	1,805,714
2024 წლის 31 დეკემბერი	-	(2,631,107)	(10,311)	(1,186,461)	(2,276,166)	(111,254)	(6,215,299)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2023 წლის 31 დეკემბერი	9,324,240	20,375,664	12,269	1,269,371	3,761,820	100,239	34,843,603
2024 წლის 31 დეკემბერი	9,324,240	20,158,132	36,275	1,075,270	3,507,867	56,066	34,157,850

სს საქართველოს ბანკთან გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად იპოთეკით დატვირთულია შემდეგი უძრავი ქონება: მიწა 9,324,240 ლარის (2023 წელი: 9,324,240 ლარი), შენობა-ნაგებობები 15,936,576 ლარის (2023 წელი: 16,298,066 ლარი) და ტექნიკური მოწყობილობები 3,507,867 ლარის (2023 წელი: 3,761,920 ლარი). 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები.

8. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლიცენზიები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერი	6,990,472	2,151,386	9,141,858
შემენა	12,625	1,500	14,125
გასვლა	-	(2,095)	(2,095)
2023 წლის 31 დეკემბერი	7,003,097	2,150,791	9,153,888
შემენა	35,780	11,710	47,490
2024 წლის 31 დეკემბერი	7,038,877	2,162,501	9,201,378
დაგროვილი ამორტიზაცია			
2022 წლის 31 დეკემბერი	(3,192,876)	(421,630)	(3,614,506)
ამორტიზაციის ხარჯი	(726,212)	(242,313)	(968,525)
2023 წლის 31 დეკემბერი	(3,919,088)	(663,943)	(4,583,031)
ამორტიზაციის ხარჯი	(696,781)	(244,293)	(941,074)
2024 წლის 31 დეკემბერი	(4,615,869)	(908,236)	(5,524,105)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 31 დეკემბერი	3,084,009	1,486,848	4,570,857
2024 წლის 31 დეკემბერი	2,423,008	1,254,265	3,677,273

9. აქტივი გამოყენების უფლებით

კომპანიას აქვს ტექნიკური ინსპექტირების ცენტრები აღებული გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებით. აქტივის გამოყენების უფლება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სერვის ცენტრები
თვითღირებულება	
31 დეკემბერი 2022	3,473,820
შემოსვლა	395,770
გასვლა	(8,703)
31 დეკემბერი 2023	3,860,887
შემოსვლა	324,444
31 დეკემბერი 2024	4,185,331
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2022	(1,456,759)
ცვეთის ხარჯი	(415,493)
31 დეკემბერი 2023	(1,872,252)
ცვეთის ხარჯი	(490,633)
31 დეკემბერი 2024	(2,362,885)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2023	1,988,635
31 დეკემბერი 2024	1,822,446

10. გაცემული სესხები

კომპანიის გაცემული სესხები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
დაკავშირებული მხარე 1	11.25%	ქართული ლარი	13-დეკ-18	31-დეკ-25	3,257,313	3,269,084
დაკავშირებული მხარე 2	საბაზისო განაკვეთს + 3.5%	ქართული ლარი	31-აგვ-23	31-დეკ-24	-	2,583,917
					3,257,313	5,853,001

მომრავა გაცემულ სესხებში იყო შემდეგი:

	2024	2023
1 იანვარს	5,853,001	3,148,335
გაცემული სესხები	4,105,000	3,537,500
გაცემული სესხების დაფარვა	(6,564,959)	(1,000,425)
მიღებული პროცენტი	(726,988)	(304,828)
საპროცენტო შემოსავალი	591,259	472,419
31 დეკემბრის	3,257,313	5,853,001

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადახდილი ავანსები	551,294	565,180
სავაჭრო მოთხოვნები	265,351	185,581
სხვა მოთხოვნები	52,447	56,996
გაუფასურების რეზერვი	(105,767)	(91,026)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	763,325	716,731

გაუფასურების ანარიცხის მომრავა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
გაუფასურების ანარიცხები 1-ლი იანვრის მდგომარეობით	(91,026)	(91,026)
გაუფასურების ხარჯი წლის განმავლობაში	(14,741)	-
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	(105,767)	(91,026)

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,844,322	378,123
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,807	8,112
ფულადი ნაშთი საბროკერო ანგარიშზე	1,425	456
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,850,554	386,691

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

13. კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გამოშვებული აქვს 7,143,152 ცალი „ა“ კლასის აქცია და 221,385 ცალი „ბ“ კლასის აქცია. (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ა“ კლასის აქცია - 7,409,558 ცალი; „ბ“ კლასის აქცია - 221,385 ცალი).

2024 წელს კომპანიამ გამოსიციდა ა გრუფისგან 266,426 აქცია, 1 აქციის ღირებულებით 9.38 ლარი.

2024 წელს კომპანიამ „ა“ და „ბ“ კატეგორიის აქციონერებზე გაანაწილა დივიდენდი შესაბამისად 970,989 და 29,012 ლარის ოდენობებით. 2023 წელს დაგროვილი მოგების დივიდენდის სახით განაწილება არ მომხდარა.

14. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპრო- ცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაწყების თარიღი	დასრუ- ლების თარიღი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ინსტიტუტი 1	5.5%	ევრო	12-დეკ-19	25-ოქტ-28	12,637,599	15,641,986
ფინანსური ინსტიტუტი 2	საბაზისო განაკვეთს +3.5%, (მინ. 13%)	ლარი	27-ივნ-23	24-ივნ-30	6,001,270	6,694,592
სულ მიღებული სესხები					18,638,869	22,336,578

მათ შორის: მიღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისათვის შესაბამისად არის 4,119,465 და 4,062,216 ლარის ოდენობის.

კომპანიის სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით. იხილეთ შენიშვნა 7.

14. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მომრავა მიღებულ სესხებში იყო შემდეგი:

	2024	2023
1 იანვარს	22,336,578	35,737,334
სესხის აღება	-	6,955,050
საპროცენტო ხარჯი	1,618,263	1,915,130
გადახდილი პროცენტი	(1,668,208)	(1,911,792)
ძირი თანხის დაფარვა	(3,430,242)	(20,737,658)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	(217,522)	378,514
31 დეკემბერს	18,638,869	22,336,578

15. ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება

კომპანიის ვალდებულება ფინანსური იჯარიდან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
თავდაპირველი აღიარებისას	2,277,826	2,270,463
შემოსვლა	324,445	395,771
საპროცენტო ხარჯი	178,348	158,782
გადახდები წლის განმავლობაში	(641,952)	(522,146)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ეფექტი	68,894	(16,341)
იჯარის შეწყვეტა	-	(8,703)
ნაშთი წლის ბოლოს	2,207,561	2,277,826

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	504,971	395,557
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	1,702,590	1,882,269
სულ საიჯარო ვალდებულება	2,207,561	2,277,826

31 დეკემბერი 2024	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი	3-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
საიჯარო გადახდები	655,215	1,248,783	509,602	240,000	2,653,600
საპროცენტო ხარჯი	(150,244)	(190,333)	(60,832)	(44,630)	(446,039)
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულება	504,971	1,058,450	448,770	195,370	2,207,561

31 დეკემბერი 2023	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი	3-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
საიჯარო გადახდები	556,204	1,036,157	957,641	300,000	2,850,002
საპროცენტო ხარჯი	(160,647)	(234,985)	(109,285)	(67,259)	(572,176)
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულება	395,557	801,172	848,356	232,741	2,277,826

სს „გრინვეი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	1,269,423	1,179,869
სავაჭრო ვალდებულებები	531,276	916,517
სხვა ვალდებულებები	13,468	13,468
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,814,167	2,109,854

17. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

კომპანიის სავალო ფასიანი ქაღალდები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გამოშვებული ობლიგაციები	5,262,968	8,054,107

2023 წლის ივლისში კომპანიამ გამოუშვა 2-წლიანი ლარში გამოხატული 8,600 ცალი ობლიგაცია 1,000 ლარის ნომინალური ღირებულებით, ჯამურად 8,600,000 ლარი. 2023 წლის 29 დეკემბრის გრინვეი საქართველომ გამოისყიდა 1,000 ცალი ობლიგაცია, ერთი ობლიგაციის ღირებულებამ შეადგინა 1,000 ლარი, ჯამურად 1,000,000 ლარი. 2024 წლის 30 ოქტომბრის გრინვეი საქართველომ გამოისყიდა 2,600 ცალი ობლიგაცია, ერთი ობლიგაციის ღირებულებამ შეადგინა 1,000 ლარი, ჯამურად 2,600,000 ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მოკლევადიანი წილი - 262,968 ლარი (2023 - 454,107 ლარი) წარმოადგენს გამოშვებული ობლიგაციების გადასახდელ პროცენტს.

18. შემოსავალი ინსპექტირებიდან

კომპანიის შემოსავალი ინსპექტირებიდან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
არაუმეტეს 8 ადგილისა	17,462,704	15,494,316
სატვირთო 3.5 ტონამდე	2,124,458	1,843,186
სატვირთო 12 ტონაზე მეტი	1,053,296	928,251
ავტობუსი 5 ტონამდე	556,754	420,153
სატვირთო 3.5 დან 12 ტონამდე	395,602	364,364
მისაბმელი 10 ტონაზე მეტი	157,094	151,144
ავტობუსი 5 ტონაზე მეტი 8 ადგილით	64,424	70,475
მისაბმელი 3.5 დან 10 ტონამდე	254	305
სულ შემოსავალი ინსპექტირებიდან	21,814,586	19,272,194

კომპანიის სხვა შემოსავალი უმეტესწილად შედგება იჯარიდან მიღებული შემოსავლებისაგან, ექსკლუზივის უფლებით სარგებლობის საფასურისაგან და კრედიტორების მიერ ვალის პატიების შედეგად მიღებული შემოსავლისაგან.

სს „გრინევი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. შრომის ანაზღაურების ხარჯი

კომპანიის შრომის ანაზღაურების ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
პირდაპირი შრომის ანაზღაურება	3,473,082	2,752,010
ადმინისტრაციული შრომის ანაზღაურება	1,413,903	1,172,656
ბონუსის ხარჯი	1,091,524	1,166,715
სულ შრომის ანაზღაურება	5,978,509	5,091,381

20. კომუნიკაციის, კომუნალური და დაცვის მომსახურების ხარჯი

კომპანიის კომუნიკაციის, კომუნალური და დაცვის მომსახურების ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
კომუნალური ხარჯი	846,226	762,881
დაცვის ხარჯი	32,947	31,327
კომუნიკაციის ხარჯი	20,006	12,906
სულ კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯი	899,179	807,114

21. სხვა საოპერაციო ხარჯები

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ოფისის ხარჯი	332,943	342,677
საბანკო ხარჯი	200,685	160,933
სწავლების ხარჯი	160,009	103,962
უნიფორმების ხარჯი	83,183	
დაზღვევის ხარჯი	50,734	54,382
ქონების შეფასების ხარჯი	40,390	45,821
საწევრო ხარჯი	31,456	32,974
იჯარის ხარჯი	25,986	25,919
რემონტის ხარჯი	24,385	14,780
წარმომადგენლობითი ხარჯი	21,023	15,868
სხვა	52,586	3,413
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	1,023,380	800,729

22. აკრედიტაციისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯი

კომპანიის აკრედიტაციისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯი	419,392	406,008
აკრედიტაციის ხარჯი	404,729	371,444
მომსახურების სააგენტოს ხარჯი	184,520	146,999
სულ აკრედიტაციისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯი	1,008,641	924,451

23. წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

კომპანიის წმინდა ფინანსური ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი			716,268	546,049
დაკავშირებული მხარე 1	11.25%	ქართული ლარი	349,229	388,502
დაკავშირებული მხარე 2	საბაზისო განაკვეთს + 3.5%	ქართული ლარი	242,029	83,917
სხვა საპროცენტო შემოსავალი			125,010	73,630
საპროცენტო ხარჯი			2,569,016	2,468,456
ფინანსური ინსტიტუტი 1	5.5%	ევრო	815,215	872,993
ფინანსური ინსტიტუტი 2	საბაზისო განაკვეთს + 3.5%, (მინ. 13%)	ლარი	803,047	513,199
დაკავშირებული მხარე 1	15%	ლარი	-	63,205
დაკავშირებული მხარე 2	6%	ევრო	-	82,931
დაკავშირებული მხარე 3	6%	ევრო	-	205,337
დაკავშირებული მხარე 4	6%	ევრო	-	80,770
დაკავშირებული მხარე 5	6%	ევრო	-	96,695
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 1	საბაზისო განაკვეთს + 4%	ლარი	647,260	333,151
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 2	საბაზისო განაკვეთს + 3%	ლარი	303,494	220,175
სულ საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი			178,348	158,782
მეიჯარე 1			43,482	48,381
მეიჯარე 2			18,881	21,614
მეიჯარე 3			22,491	25,907
მეიჯარე 4			7,350	8,449
მეიჯარე 5			7,515	8,541
მეიჯარე 6			11,438	13,028
მეიჯარე 7			-	245
მეიჯარე 8			274	133
მეიჯარე 9			-	1
მეიჯარე 10			11,152	5,822
მეიჯარე 11			14,360	16,758
მეიჯარე 12			130	49
მეიჯარე 13			39,833	9,854
მეიჯარე 14			1,442	-
სულ წმინდა ფინანსური ხარჯი			2,031,096	2,081,189

სს „გრინვეი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24. საკურსო სხვაობისგან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა

კომპანიის საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
მიღებული სესხები	217,522	(378,514)
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება	(68,894)	16,341
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	498	(8,327)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(708)	(1,293)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(28,447)	(33,308)
სულ საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	119,971	(405,101)

25. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

26. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით.

ფინანსური რისკი მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს) და
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

26. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს. აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული სესხები	3,257,313	5,853,001
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	212,031	151,551
ინვესტიციები	109,746	150,838
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,850,554	386,691
სულ ფინანსური აქტივები	5,429,644	6,542,081

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში. ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს. რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია. ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

სავალუტო რისკის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სავალუტო რისკი	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	19,011	643,505	(624,494)
ევრო	4,552	12,843,776	(12,839,224)
სულ	23,563	13,487,281	(13,463,718)

26. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია 2023 წლის 31 დეკემბრისთვის
აშშ დოლარში	24,066	1,767,451	(1,743,385)
ევრო	110	15,532,541	(15,532,431)
სულ	24,176	17,299,992	(17,275,816)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებული განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებითი ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არა-დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა-დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

26. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2024	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	225,222	-	-	225,222
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,850,157	-	-	1,850,157
გაცემული სესხი	3,257,313	-	-	3,257,313
ინვესტიციები	-	109,746	-	109,746
სულ ფინანსური აქტივები	5,332,692	109,746	-	5,442,438
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,826,961	-	-	1,826,961
მიღებული სესხი	3,874,020	14,055,353	709,496	18,638,869
გამომგებული სავალო ფასიანი ქაღალდები	262,968	5,000,000	-	5,262,968
ფინანსური იჯაროდან წარმოქმნილი ვალდებულებები	504,971	1,507,221	195,370	2,207,562
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,468,920	20,562,574	904,866	27,936,360
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(1,136,228)	(20,452,828)	(904,866)	(22,493,922)
31 დეკემბერი 2023	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	151,551	-	-	151,551
ფული და ფულის ეკვივალენტები	386,691	-	-	386,691
გაცემული სესხი	5,853,001	-	-	5,853,001
ინვესტიციები	-	150,838	-	150,838
სულ ფინანსური აქტივები	6,391,243	150,838	-	6,542,081
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,109,854	-	-	2,109,854
მიღებული სესხი	3,763,791	16,457,491	2,115,296	22,336,578
გამომგებული სავალო ფასიანი ქაღალდები	454,107	7,600,000	-	8,054,107
ფინანსური იჯაროდან წარმოქმნილი ვალდებულებები	395,556	1,649,529	232,741	2,277,826
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,723,308	25,707,020	2,348,037	34,778,365
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(332,065)	(25,556,182)	(2,348,037)	(28,236,284)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

27. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით, გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

სს „გრინგეი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

27. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება (გაგრძელება)

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,850,157	1,850,157	386,691	386,691
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	225,222	225,222	151,551	151,551
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,826,961	1,826,961	2,109,854	2,109,854
გაცემული სესხები	3,257,313	3,257,313	5,853,001	5,853,001
მიღებული სესხები	18,638,869	18,638,869	22,336,578	22,336,578
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	5,262,968	5,262,968	8,054,107	8,054,107
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,207,562	2,207,562	2,277,826	2,277,826

28. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.
- (ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

სს „გრინევი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

28. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ნაშთები:

ურთიერთობის ტიპი	ფინანსური ანგარიშგების მუხლი	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
		ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბ. მუხლის მთლ. თანხა ფმა*-ში	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბ. მუხლის მთლ. თანხა ფმა*-ში
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	გაცემული სესხები	3,257,313	3,257,313	5,853,001	5,853,001
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	მიღებული სესხები	-	18,638,869	-	22,336,578
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	53,476	776,516	41,043	716,731
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38,200	1,826,961	19,787	2,109,854

ოპერაციები:

	2024					
	საპროცენტო შემოსავალი	საპროცენტო ხარჯი	შრომის ანაზღაურება	სხვა საოპერაციო ხარჯი	შემოსავალი ინსპექტირებიდან	სხვა შემოსავალი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	591,259	7,350	-	53,897	5,050	548,295
აქციათა მფლობელი	-	-	-	-	-	-
უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა	-	-	581,025	-	-	-
მუხლის მთლიანი თანხა ფმა-ში	716,268	2,747,364	6,011,263	869,292	21,814,586	794,677

	2023					
	საპროცენტო შემოსავალი	საპროცენტო ხარჯი	ადმინისტრაციული შრომის ანაზღაურება	სხვა საოპერაციო ხარჯი	შემოსავალი ინსპექტირებიდან	სხვა შემოსავალი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	472,419	537,387	-	57,991	69,700	454,339
აქციათა მფლობელი	-	-	-	-	-	-
უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა	-	-	483,286	-	-	-
მუხლის მთლიანი თანხა ფმა-ში	546,049	2,627,238	5,091,381	799,733	19,272,194	626,170

სს „გრინეი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 აპრილს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- კომპანიამ 2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ კომპანიამ „ა“ და „ბ“ კლასის აქციონერებზე გაანაწილა შესაბამისად 965,298 და 34,702 ლარის დივიდენდი.
- კომპანიამ 2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ დაფარა საქართველოს ბანკის სესხები ოდენობით 926,720 და 268,898 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომლებიც მოითხოვს აღნიშვნას განმარტებით შენიშვნებში.

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მმართველობის ანგარი

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა.....	1
ბაზრის მიმოხილვა	1
საერთაშორისო თანამშრომლობა და ევროპული სტანდარტების დანერგვა საქართველოში	5
მომსახურების ხარისხი, უსაფრთხოება და გამჭვირვალობა.....	7
კავშირი.....	7
კავშირის ძირითადი მიზნებია	8
ძირითადი გამოწვევებია	8
სამომავლო მიზნები.....	8
პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სამართლებრივი მხარე	8
სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.....	8
აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა.....	9
აქციონერთა საერთო კრება განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:.....	9
სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია მოიცავს შემდეგს:.....	10
სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:	10
არაფინანსური ანგარიშგება	11
ცნობიერების ამაღლება და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.....	11
ცნობიერების ამაღლება და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.....	11
გარემოზე ზრუნვა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	15
ადამიანური კაპიტალი	15
ანტიკორუფციული პოლიტიკა, პროცედურები და სტანდარტები, შიდა კონტროლი	17
ფინანსური რისკის მართვა	17
საკრედიტო რისკი.....	17
საბაზრო რისკი	17
სავალუტო რისკი	18
საპროცენტო განაკვეთის რისკი.....	18
ლიკვიდურობის რისკი.....	18
კაპიტალის მართვა.....	19

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საქმიანობის მიმოხილვა

ბაზრის მიმოხილვა

2014 წელს, „ასოცირების ხელშეკრულების“ ხელმოწერის შემდეგ ქვეყნის წინაშე დადგა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის გატარების მოთხოვნა. თითქმის 15-წლიანმა ჩავარდნამ ქვეყანა დააყენა დიდი რისკების წინაშე სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, ბოლო წლებში იმატა ავტოსაგზაო შემთხვევებმა, რაც, სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, განპირობებული იყო გაუმართავი და მოძველებული ავტოპარკით.

მართალია, საქართველოში არსებობდა ტექნიკური ინსპექტირების სერვისის ცენტრების გარკვეული რაოდენობა, თუმცა ის არ იყო საკმარისი ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაკადის გატარებისათვის, რის გამოც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ქსელის მოსაწყობად ინტერესთა მოწვევა გამოაცხადა.

აღნიშნულ ინტერესთა მოწვევაში გაიმარჯვა სს „გრინვეი საქართველომ“ (ყოფილი შპს „პრემიუმ რეზიდენსი“) და მიიღო საქმიანობის 10 წლიანი უფლება. 2018 წლის 29 ივნისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „გრინვეი საქართველოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „გრინვეი საქართველოს“ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, სს „გრინვეი საქართველომ“ აიღო ვალდებულება და მთელი საქართველოს მასშტაბით მოაწყო სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ყველაზე დიდი ქსელი, რაც არსებული ბაზრის (PTI ცენტრების მფლობელობაში არსებული ხაზების რაოდენობით) 34 %-ს შეადგენს.

სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „ასოცირების შეთანხმების“ შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებათა, ასოცირების ხელშეკრულების 293-ე მუხლისა და მისი XXIV დანართის საფუძველზე 2009/40/EC დირექტივის მიხედვით საქართველომ აიღო ვალდებულება ქვეყანაში განეხორციელებინა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების შემოღება. რეფორმა რამდენიმე ეტაპად ხორციელდება: რეფორმის პირველ ეტაპზე, სახელმწიფომ სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირება დაიწყო. 2018 წლის ივლისიდან ტექნიკური ინსპექტირება გაიარა სახელმწიფო და იურიდიულ პირთა კუთვნილმა ავტოსატრანსპორტო საშუალებებმა. 2018 წლის ოქტომბერში აღნიშნულ ნუსხას 3,000 კუბური სანტიმეტრის ან მეტი მოცულობის ძრავების მქონე ავტომობილები დაემატა, ხოლო 2019 წლის 01 იანვრიდან სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას ქვეყანაში დარეგისტრირებული ყველა მსუბუქი ავტომობილი დაექვემდებარება.

აღსანიშნავია, წლებთან ერთად რეფორმის ეტაპებზე ჩანს რომ ავტოპარკი რეაგირებს და ამ მიმართულებით შეიმჩნევა პოზიტიური შედეგები, რაც სამომავლოდ გარემოს და ეკოლოგიური სიტუაციის გააჩნსაღებას შეუწყობს ხელს.



სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „ასოცირების შეთანხმების“ შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებაა, ასოცირების ხელშეკრულების 293-ე მუხლისა და მისი XXIV დანართის საფუძველზე 2009/40/EC დირექტივის მიხედვით საქართველომ აიღო ვალდებულება ქვეყანაში განხორციელებინა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების შემოღება. რეფორმა რამდენიმე ეტაპად ხორციელდება: რეფორმის პირველ ეტაპზე, სახელმწიფომ სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირება დაიწყო. 2018 წლის ივლისიდან ტექნიკური ინსპექტირება გაიარა სახელმწიფო და იურიდიულ პირთა კუთვნილმა ავტოსატრანსპორტო საშუალებებმა. 2018 წლის ოქტომბერში აღნიშნულ ნუსხას 3,000 კუბური სანტიმეტრის ან მეტი მოცულობის ძრავების მქონე ავტომობილები დაემატა, ხოლო 2019 წლის 01 იანვრიდან სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას ქვეყანაში დარეგისტრირებული ყველა მსუბუქი ავტომობილი დაექვემდებარა.

2023 წლის იანვრიდან, ეტაპობრივად ამოქმედდა ტექნიკური ინსპექტირების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ცვლილებები

ცვლილება მოიცავდა სამ ძირითად კომპონენტს:

1) გამონაბოლქვის დასაშვები კოეფიციენტი შემცირებას

იმ ბენზინის ძრავით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიარეს პირველადი რეგისტრაცია 2020 წლის 1 აპრილამდე, 2023 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირებისას გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტი: ძრავას უქმ სვლაზე – 0,55% და ძრავას უქმ სვლაზე მაღალი ბრუნთა რიცხვით (არანაკლებ 2 000 ბრ/წთ-ისა) – 0,55%;

შეგახსენებთ, რომ ეს ავტომობილები დღეს მოწმდება: ძრავას უქმ სვლაზე – 0,60% და ძრავას უქმ სვლაზე მაღალი ბრუნთა რიცხვით (არანაკლებ 2 000 ბრ/წთ-ისა) – 0,60%

ცვლილებები არ ეხება დიზელზე მომუშავე ავტომობილებს და არც 2020 წლის 1 აპრილის მერე რეგისტრირებულ ბენზინის ძრავით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებებს, რადგან 2020 წლის 1 აპრილიდან ქვეყანაში შემოსული ყველა ავტომობილისთვის სავალდებულოა კატალიზატორის ქონა (დასაშვებია უნივერსალური კატალიზატორიც, თუ მუშაობს გამართულად და თავის ფუნქციას ასრულებს), მანქანები მოწმდებიან გამონაბოლქვზე 0.5 -0.3 (მაღალ ბრუნზე და დაბალ ბრუნზე). ეს ავტომობილები ასევე მოწმდება ლამბდა კოეფიციენტზეც.

2) ცვლილება მეორადი ინსპექტირების საფასურში

მთავრობის #562 დადგენილების მიხედვით, ავტომობილის განმეორებითი ტექნიკური ინსპექტირებისთვის მფლობელს დამატებითი საფასურის გადახდა უწევს. მანამდე 30 კალენდარული დღის ვადაში განმეორებითი ინსპექტირება უფასო იყო.

2023 წლის 1 თებერვლიდან 8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და 3500 კგ-ზე მეტი სრული მასის მქონე, ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ტექნიკური ინსპექტირება 100 ლარი, განმეორებითი ინსპექტირება 30 ლარი გახდა; დანარჩენ შემთხვევებზე პირველადი ინსპექტირების საფასური 60 ლარია, განმეორებითის 20 ლარი.

M1 კატეგორიის ელექტრომობილებისთვის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების საფასური განისაზღვრება 48 ლარით, ხოლო განმეორებითი ინსპექტირების საფასური განისაზღვრება 15 ლარით. ტექნიკური ინსპექტირების ტარიფი სახელმწიფოს მიერაა დადგენილი და ტექნიკური ინსპექტირების ყველა ცენტრში იდენტურია.

3) ხმაურის დონის შემოწმება

საქართველოს მთავრობის დადგენილება (#569) ხმაურის შემოწმებასთან დაკავშირებით 1 იანვრიდან ამოქმედდა და შეეხო ყველა ავტოსატრანსპორტს.

ავტომობილის ხმაურზე შემოწმების გადაწყვეტილებას იღებს ინსპექტირების ორგანო.

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ხმაურის შემოწმდება შემდეგი კრიტერიუმებით:

უმნიშვნელო ხარვეზი:

ბენზინი:

- M1, N1 კატეგორია - 95 (დბ) – 105 (დბ)- შორის
- M2, N2 კატეგორია - 100 (დბ) – 110 (დბ)-შორის
- M3, N3 კატეგორია -105 (დბ) – 115 (დბ)-შორის

დიზელი:

- M1, N1 კატეგორია - 100 (დბ) – 110 (დბ)-შორის
- M2, N2 კატეგორია - 105 (დბ) – 115 (დბ)-შორის
- M3, N3 კატეგორია -110 (დბ) – 120 (დბ)-შორის

მნიშვნელოვანი ხარვეზი:

ბენზინი:

- M1, N1 კატეგორია - აღემატება 105 (დბ)-ს
- M2, N2 კატეგორია - აღემატება 110 (დბ)-ს
- M3, N3 კატეგორია -აღემატება 115 (დბ)-ს

დიზელი:

- M1, N1 კატეგორია - აღემატება 110 (დბ)-ს
- M2, N2 კატეგორია - აღემატება 115 (დბ)-ს
- M3, N3 კატეგორია -აღემატება 120 (დბ)-ს

2023 წლის 3 ივნისიდან საქართველოს მთავრობის მიერ №510 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები. („ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ დადგენილება). ინსპექტირებაზე მოსულ ყველა ავტომობილს დახარვეზების შემთხვევაში აქვს მხოლოდ ერთი-30 დღიანი მეორადის ვადა, ხოლო ყველა მომდევნო დახარვეზებაზე მხოლოდ 10 დღიანი ვადა წარმატებულ ინსპექტირებამდე.

ასევე 2023 წლის 3 ივნისიდან ტექნიკური გაუვლელობის გამო გამოწერილი ჯარიმები გაიზარდა.

„მუხლი 118. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა ან სხვა პირისთვის სამართავად გადაცემა/საექსპლუატაციოდ გადაცემა/საექსპლუატაციოდ დაშვება, რომელსაც არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება ცვლილების მიხედვით, ტექნიკური დათვალიერების გავლის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ერთხელ დაჯარიმებული ფიზიკური პირი ჯარიმის დაკისრებიდან 30 დღის განმავლობაში თუ არ გაივლის ტექნიკური ინსპექტირებას, დაეკისრება ჯარიმა - 150 ლარის, ხოლო იურიდიულ პირს - 300 ლარის ოდენობით. შემდეგ გაუვლელობაზე იზრდება ჯარიმის ოდენობა და საბოლოოდ ჯარიმის ოდენობა ფიზიკური პირისთვის მიაღწევს 500 ლარს, ხოლო იურიდიული პირისთვის 700-ს. 500 ლარიანი და 700 ლარიანი ჯარიმის ოდენობა მოქმედებს ყოველ მომდევნო 30 დღეზე.

2024 წლიდან, ტექნიკური ინსპექტირების კანონში შედის ცვლილება გამონაბოლქვის შესახებ. ასევე, ამავე წლიდან იცვლება კანონები: მგზავრთა გადაყვანისა და საუბრავეების შესახებ.

510 დადგენილების მიხედვით:

2024 წლის 1 იანვრიდან, 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირებისას გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტი: ძრავას უქმ სვლაზე - 0,5% და ძრავას უქმ სვლაზე მაღალი ბრუნთა რიცხვით (არანაკლებ 2 000 ბრ/წთ-ისა) - 0.5%;

ეს სიახლე შეეხება 2020 წლის 1 აპრილამდე საქართველოში პირველად რეგისტრირებულ ავტომობილებს, რომლებიც ამჟამად მოწმდებიან 0,55%-ზე.

რაც შეეხება 2020 წლის 1 აპრილის შემდეგ საქართველოში პირველად რეგისტრირებულ ავტომობილებს, ეს ცვლილება მათ არ ეხებათ. ნორმები რჩება იგივე (CO-ს დონე არაუმეტეს ძრავას უქმ სვლაზე - 0,5%-ს და ძრავას უქმ სვლაზე მაღალი ბრუნთა რიცხვით (არანაკლებ 2 000 ბრ/წთ) - 0.3%-სა.

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კოეფიციენტი ლამბდა არ უნდა აღემატებოდეს სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის მიერ დადგენილ სიდიდეს, ამ ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაში კი $-1 \pm 0,03$ -ს;

მგზავრთა გადაყვანაზე და ავტოსადგურებზე:

კანონის პროექტით წესრიგდება, ავტოსადგურის შესაბამისობის სერთიფიკატთა, ქვეყნის შიდა რეგულარულ სამგზავრო გადაყვანასთან, საავტომობილო სამგზავრო გადაყვანასთან, საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის წესთან, ავტოსადგურთან, ავტოსადგურის სერტიფიცირებასთან, მოძრაობის უსაფრთხოებასა და რეგულირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. კანონი ამოქმედდება 2024 წლის 1 მარტიდან, ხოლო კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან. (მითითებული კანონის მე-2 მუხლი ეხება მთავრობის ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს ავტოსადგურის სერტიფიცირების წესის, პირობების და ვადების დადგენა და სხვა სახის მოქმედებები, რომლების დაკავშირებულია კანონის ამოქმედებასთან)

ცვლილება საბურავების შესახებ, 1 იანვრიდან, ცვლილებების მიხედვით, განისაზღვრება ზამთრის პერიოდში გადაადგილებისათვის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები.

ტექნიკური ავტომობილების რაოდენობა

2019 წლის განმავლობაში სს „გრინვეი საქართველო“-მ მომსახურება გაუწია: პირველადი - 246,937 ავტომობილი, განმეორებითი - 95,346, სულ - 342,283. დახარვეზების კოეფიციენტი 52%.

2020 წლის განმავლობაში სს „გრინვეი საქართველო“-მ მომსახურება გაუწია: პირველადი - 191,500 ავტომობილი, განმეორებითი - 60,500, სულ - 252,000. დახარვეზების კოეფიციენტი 39%. (აღსანიშნავია, რომ კოვიდის გამო გარკვეული პერიოდი შეჩერებული იყო ტექდათვალიერება და შესაბამისი სანქციები).

2021 წლის განმავლობაში სს „გრინვეი საქართველო“-მ მომსახურება გაუწია: პირველადი - 265,601 ავტომობილი, განმეორებითი 81,649, სულ - 347,250. დახარვეზების კოეფიციენტი 35%.

2022 წლის განმავლობაში სს „გრინვეი საქართველო“-მ მომსახურება გაუწია: პირველადი - 289,453 ავტომობილი, განმეორებითი 72,752, სულ - 362,205. დახარვეზების კოეფიციენტი 29%.

2023-წლის განმავლობაში სს „გრინვეი საქართველო“-მ მომსახურება გაუწია: პირველადი - 349,832 ავტომობილი, განმეორებითი 51,976, სულ - 401,806. დახარვეზების კოეფიციენტი 19%.

2024-წლის განმავლობაში სს „გრინვეი საქართველო“-მ მომსახურება გაუწია: პირველადი - 393,580 ავტომობილი, განმეორებითი 55,247, სულ - 448,827. დახარვეზების კოეფიციენტი 18%.

გრინვეის ახალი საოპერაციო პროგრამა Gwg.Greenway.Ge

2024 წელს გრინვეიმ შექმნა უნიკალური საოპერაციო პროგრამა, რომლითაც მთლიანად თავისი მმართველობის ქვეშ ახორციელებს როგორც რეგისტრაციის, ისე უშუალოდ ტექნიკური მთლიან პროცესს. პროგრამა შექმნილია გრინვეის გუნდის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების და უსაფრთხოების გათვალისწინებით. პროგრამა სრულყოფილად ჩაეშვა 2024 წლის 1 ივლისიდან და მომხმარებლისთვის პროცესი აჩქარდა 30%-ით. გრინვეის მიერ საკუთარი საოპერაციო პროგრამის შექმნამ გაამარტივა მთელი რიგი პროცესები. ხდება უფრო მარტივად სხვადასხვა სერვისების გაცვლა, რეპორტირება და ანალიტიკა, პრობლემების სწრაფი აღმოფხვრა და სხვა.



საერთაშორისო თანამშრომლობა და ევროპული სტანდარტების დანერგვა საქართველოში

სახელმწიფოსა და სს „გრინვეი საქართველოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, სს „გრინვეი საქართველოს“ პარტნიორია ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების მსოფლიო ლიდერი კომპანია „Applus“, რომელიც მსოფლიოს 70 ქვეყანაში ოპერირებს. „Applus“-ის საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, პირველად საქართველოში ჩამოყალიბდა ევროპული სტანდარტების მქონე ტექნიკური ინსპექტირების მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკური ინსპექტირების პროცესის სრულ გამჭვირვალობას. სს „გრინვეი საქართველო“ ოპერირებს ფრანგული ბრენდის ACTIA-ს აპარატურითა და პროგრამული უზრუნველყოფით, რაც უზრუნველყოფს მაღალი დონის ევროპული ხარისხის სერვისს.

2019 წელს ტექნიკური ინსპექტირების ყველაზე დიდი ქსელი გრინვეი CITA-ს სრულუფლებიანი წევრი გახდა. სრულუფლებიანი წევრის დამადასტურებელი სერთიფიკატი გრინვეის გუნდს ბრიუსელში (ბელგია) CITA-ს სათავო ოფისში გადაეცა.

CITA არის საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც სახელმწიფო და კერძოს სექტორის ორგანიზაციებს აერთიანებს, რომლებიც ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების და შესაბამისობის შეფასების სფეროში საქმიანობენ.

ორგანიზაცია აღიარებულია ევროპის საბჭოს, გაეროს ეკონომიკური საბჭოს (WP29), მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), ასევე მსოფლიო ბანკის გზებზე გლობალური უსაფრთხოების სამსახურის (the Global Road Safety Facility) და სხვა ორგანიზაციების მიერ.

ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე, CITA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, ედუარდო ფერნანდესმა განაცხადა, რომ გრინვეი არის თვალსაჩინო მაგალითი, თუ როგორ უნდა დაასრულო უმოკლეს ვადებში უმსხვილესი ქსელის მშენებლობა, აღჭურვო ევროპული სტანდარტების აპარატურით და დაიწყო გამართულად ოპერირება. მან დასძინა, რომ იმ ქვეყნებისთვის სადაც ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა ახლა იწყება, ევროპული ქვეყნების გამოცდილება, კონკრეტულად კი გერმანიის მაგალითი ვერ იქნება სანიმუშო მოდელი, რადგან გერმანიაში სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება 100 წლის წინ დაიწყო. გერმანიის მსგავსად სხვა ევროპულმა ქვეყნებმა დიდი გზა გაირეს მომსახურების იმ სტანდარტამდე მისაღწევად, რასაც ახლა სთავაზობენ მომხმარებელს. საქართველო კი იდეალური მაგალითია, თუ როგორ შეიძლება უმოკლეს ვადაში კერძო სექტორის (გრინვეის), სახელმწიფოს და საზოგადოების თანამშრომლობით მიიღო ევროპული სტანდარტის ტექნიკური ინსპექტირების სერვისი.

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ამ შეთანხმებით გრინვეი შეუერთდა ორგანიზაციის მთავარ მიზანს გააუმჯობესოს გზებზე უსაფრთხოება და გარემოზე ზრუნა ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების და შესაბამისობის შეფასების სფეროში აქტიური მუშაობით.

აღსანიშნავია, რომ CITA ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირებისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში კვლევებს ატარებს, გამოსცემს საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით რეკომენდაციებსა და სტანდარტებს, რასაც იყენებენ როგორც წევრი, ასევე პარტნიორი ორგანიზაციები.

2023 წლის შემოდგომაზე USAID-სა და „გრინვეი საქართველოს“ შორის ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში მთლიანად PTI ინდუსტრიისთვის უნიკალური პროექტი დაიწყო.

დაფუძნდა „გრინვეი აკადემია“, რომლის ფარგლებშიც არამარტო გრინვეისთვის, არამედ მთელი ინდუსტრიისთვის იქმნება შესაძლებლობა ერთიანი სტანდარტებით მომზადდეს და გადამზადდეს დასაქმებული თუ მაძიებელი ინსპექტორები.

„გრინვეი საქართველომ“ USAID-ის პროგრამასთან „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ თანამშრომლობის ფარგლებში, თავის საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან (APPLUS, CITA, „ტექნოსპექტირება უსაფრთხოებისთვის“) ერთად აიღო ვალდებულება და

- შექმნა ტრენინგ ცენტრი „გრინვეი აკადემია“;
- შეიმუშავა ტრენინგ მოდულები, რომლებიც თანხვედრაშია საქართველოს საკანონმდებლო ბაზასთან,
- გადაიღო შემეცნებითი და სასწავლო ვიდეოები (დაწყებული მანქანის აგებულებიდან, დამთავრებული უშუალოდ სტანდარტების მიხედვით ტექდათვალიერების დეტალური პროცესით),
- შექმნა უნიკალური ონლაინ პლატფორმა academy.greenway.ge (რომელიც უზრუნველყოფს ტრენინგებისთვის მასალების განთავსებას, ტრენინგების ჩატარებას, ატესტაციას, მასალებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას),
- გადაამზადა ტრენინგების ჯგუფი მთელი საქართველოს მასშტაბით;
- 2024 წელს „გრინვეი აკადემიის“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები და ატესტაციები როგორც გრინვეის თანამშრომლებისთვის ისე პტი მარკეტზე მოთამაშე სხვა სუბიექტებისთვის. ჯამში ტრენინგები ჩატარდა და ატესტაცია გაიარა 500 მდე თანამშრომელმა

საქართველოში ტექდათვალიერების რეფორმა 6 წლის წინ დაიწყო. სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა, „ასოცირების შეთანხმების“ შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებათა, შესაბამისად, პროფესია ინსპექტორიც ქვეყნისთვის ახალია და ახლებური უნარების შეძენას, ერთიანი სტანდარტების დანერგვას საჭიროებს სრულიად ინდუსტრიისთვის.

საერთაშორისო პარტნიორების და USAID-ის პროგრამის დახმარებით ტექნოსპექტირების რეფორმა ახალ ეტაპზე გადავიდა და ხელს უწყობს ევროპული მაღალი სტანდარტების დანერგვას.

პროექტის პარტნიორები:

USAID-ის პროგრამა „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“

APPLUS - ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების მსოფლიო ლიდერი კომპანია „Applus+“, რომელიც მსოფლიოს 70 ქვეყანაში ოპერირებს.

CITA- არის საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც სახელმწიფო და კერძოს სექტორის ორგანიზაციებს აერთიანებს, რომლებიც ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების და შესაბამისობის შეფასების სფეროში საქმიანობენ.

„ტექნოსპექტირება უსაფრთხოებისთვის“ წარმოადგენს ავტოსატრანპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სფეროში ოპერირებადი კომპანიების გაერთიანებას. კავშირის ერთ-ერთი მიზანია ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ხარისხის, სავტომობილო გზებზე უსაფრთხოების გაუმჯობესების, ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციისა და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნის მიზნით შესაბამისი პროცესების დაგეგმვა და დაკავშირებულ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა. კავშირი დღეის მდგომარეობით ბაზრის 60%- ის ინტერესებს წარმოადგენს.



მომსახურების ხარისხი, უსაფრთხოება და გამჭვირვალობა

როგორც უკვე აღინიშნა, სს „გრინვეი საქართველო“ პარტნიორია ესპანური კომპანია „Applus+“, რომელიც საწყისი ეტაპიდანვე იყო ჩართული კომპანიის სტრატეგიისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. „Applus+“, სს „გრინვეი საქართველო“-ს მიერ აკრედიტაციის მინიჭებიდან ყოველ კვარტალში ერთხელ ატარებს შიდა აუდიტს. შიდა აუდიტის შედეგების მიხედვითაც სს „გრინვეი საქართველო“-ს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრები და პერსონალური სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით და ევრო დირექტივებით მოთხოვნილ კრიტერიუმებს. შესაბამისად, სს „გრინვეი საქართველო“ ყველა სერვის ცენტრში ერთიანი მაღალი ხარისხის სერვისია დანერგილი. ყველა სერვის ცენტრს აქვს მისაღები სივრცე, სადაც მომხმარებელს კომფორტულ გარემოში აქვს შესაძლებლობა, დაარეგისტროს ავტომობილი ტექნიკური ინსპექტირების ჩასატარებლად. მოსადგელი სივრცე და ინსპექტირების სივრცე ერთმანეთისაგან გამიჯნულია გამჭვირვალე მიზნით, რათა მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი ტექნიკური ინსპექტირების პროცესის გამჭვირვალობა და სანდოობა.

2024 წლიდან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ქლემების მართვის CRM მოდული დაინერგა რის საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში ამ პლატფორმის მეშვეობით ხდება ქლემების აღრიცხვა, კონტროლი, მომხმარებელთან უკუკავშირი შესაბამისი რეაგირება, რეპორტირება და ანალიზი

ყველა სერვის-ცენტრი აღჭურვილია ვიდეოკამერებით და ონლაინ რეჟიმში წარმოებს ვიდეო გადაღება. მომხმარებლებს აქვს შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმშიც აკონტროლოს ტექნიკური ინსპექტირების პროცესი.

კომპანიამ, მოქნილი სერვისისა და მომხმარებლისთვის მაქსიმალური კომფორტის შესათავაზებლად, უკვე შექმნა თანამედროვე, მობილური ტელეფონებისთვის მეგობრული ვებ-გვერდი და დაჯავშნის პროგრამული უზრუნველყოფა.

კავშირი

2020 წლის 10 დეკემბერს სს „გრინვეი საქართველო“-მ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სფეროში ოპერირებად 5 კომპანიასთან ერთად დაარსა ა(ა)იპ ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების კავშირი „ტექნიკური ინსპექტირება უსაფრთხოებისთვის“. ა(ა)იპ ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების კავშირი „ტექნიკური ინსპექტირება უსაფრთხოებისთვის“ წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სფეროში ოპერირებადი კომპანიების გაერთიანებას. კავშირის ერთ-ერთი მიზანია ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ხარისხის, საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების გაუმჯობესების, ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციისა და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნის მიზნით შესაბამისი პროცესების დაგეგმვა და დაკავშირებულ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა. კავშირი დღეის მდგომარეობით ბაზრის 60%-ის ინტერესებს წარმოადგენს

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კავშირის ძირითადი მიზნები

- საერთაშორისო პრაქტიკის და სტანდარტების დამკვიდრება, სახელმწიფო სტრუქტურებთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- კავშირის წევრი კომპანიებისთვის ერთიანი სტანდარტის დანერგვა;
- კავშირის წევრი ინსპექტირების ცენტრების პერსონალის ტრენინგების ორგანიზება.
- კავშირის წევრი კომპანიების ოპერირების პერიოდში მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების გაწევა.

ძირითადი გამოწვევები

- საავტომობილო გზებზე ავტომობილების ტექნიკური გამართულობის კონტროლის არარსებობა
- ცნობიერების ამაღლების კამპანიების არარსებობა. ინსპექტირების პროცედურებში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების ნაკლებობა.

სამომავლო მიზნები

- აქტიური კომუნიკაცია არასამთავრობო სექტორთან ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პრობლემატიკის გადასაწყვეტად
- ცნობიერების ამაღლების კამპანიებში მონაწილეობის მიღება;
- პტი ცენტრებში ერთიანი სტანდარტების უზრუნველყოფა;
- პერსონალის ცოდნის მუდმივი გაღრმავება - ტრენინგები;
- CITA-ს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;
- ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შეთავაზება მთავრობისთვის გზებზე კონტროლის მიდგომის დასაწესებლად;

პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სამართლებრივი მხარე

სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება არის ავტორიზებული საქმიანობა. ავტორიზაციას / აკრედიტაციას გასცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“ 4 წლის ვადით. 2018 წლის ბოლოს სს „გრინვეი საქართველომ“ შესაბამის მომსახურებაზე აკრედიტაციის მისაღებად მიმართა სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს“.

2018 წლის ბოლოსთვის სს „გრინვეი საქართველო“, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სამართლებრივი და საკადრო თვალსაზრისით, უკვე აკმაყოფილებდა აკრედიტაციის მოთხოვნებს, რომელიც მოიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 01 დეკემბრის N 510 და N 511 დადგენილებებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

სს „გრინვეი საქართველო“, საერთაშორისო პარტნიორ კომპანია „Applus+“-ის რეკომენდაციითა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, შეიმუშავა ტექნიკური ინსპექტირებისა და მომხმარებლის მიღებისა და მომსახურების პროცედურა, რომლითაც მაქსიმალურად უზრუნველყოფილია სამუშაო პროცესის უსაფრთხოება და მაღალი ხარისხის სერვისი.

ასევე სს „გრინვეი საქართველო“-მ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ საკ 1.1:2020 – აკრედიტაციის საერთო წესები და პროცედურები“-ს მიხედვით 2024 წელს წარმატებით გაიარა ყოველწლიური გეგმიური მონიტორინგი, რითაც დაამტკიცა რომ სს „გრინვეი საქართველოს“-ს სერვის ცენტრები აკმაყოფილებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომპანიას ჰყავს კვალიფიციური პერსონალი.

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაყოფილია „ა“ და „ბ“ კლასის აქციებად, რომელთა ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 (ერთი) ლარს. საზოგადოების განცხადებული (ნებადართული) კაპიტალის ფარგლებში „ა“ და „ბ“ კლასის აქციების გამოშვება დასაშვებია სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. საზოგადოების აქციათა რეესტრი წარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, დადგენილი პროცედურების შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გამოშვებული აქვს 7,143,132 558 ცალი „ა“ კლასის აქცია და 221,385,145 ცალი „ბ“ კლასის აქცია.

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის ან შემცირების შესახებ ნებისმიერი კლასის ახალი აქციების გამოშვების ან შესაბამისად არსებული აქციების გაუქმების გზით.

საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა დასაშვებია შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. გარდა შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული აქციების სავალდებულო გამოსყიდვისა, საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს და შემდგომში გაყიდოს საკუთარი აქციები („სახაზინო აქციები“).

აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ. საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტი ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორის მიერ.

აქციონერებს უფლება აქვთ:

- პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში;
- მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად;
- საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღონ იმ ქონების წილი ან მისი ღირებულება, რომელიც დარჩება კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ მათი წილის პროპორციულად;
- აქციების საერთო რაოდენობის 5% ან მეტის მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მათ გააჩნიათ საფუძვლიანი ეჭვი რაიმე დარღვევის თაობაზე;
- აქციების საერთო რაოდენობის 5% ან მეტის მფლობელს უფლება აქვს მოითხოვონ აქციონერთა რეგარემე კრების მოწვევა;

აქციონერთა საერთო კრება განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

- საზოგადოების წესდების დამტკიცება და შეცვლა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საფირმო სახელწოდების და ა.შ.);
- გადაწყვეტილების მიღება შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ, „საზოგადოების“ ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა;
- მოგების გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორის წინადადების მიღება ან უარყოფა, ან, როდესაც ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, გადაწყვეტილების მიღება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;
- „საზოგადოების“ აქციების 20%-ის (ოცი პროცენტის) ან მეტის მფლობელი აქციონერის მიერ დასახელებული პირის არჩევა სამეთვალყურეო საბჭოში.
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გამოწვევა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთათვის ეთიკის კოდექსის შემუშავება;
- დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;
- აუდიტორის არჩევა;
- გადაწყვეტილებების მიღება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- გადაწყვეტილებების მიღება „საზოგადოების“ ქონების შეძენის, გასხვისების, გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს „საზოგადოების“ მთლიანი აქტივების ღირებულების 25%-ზე (ოცდახუთ პროცენტზე) მეტს.
- წლიური ანგარიშების დამტკიცება.
- გადაწყვეტილებების მიღება კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია მოიცავს შემდეგს:

- დირექტორის საქმიანობის კონტროლი;
- დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება და მასთან სასამსახურო კონტრაქტის დადება და შეწყვეტა, ასევე დირექტორისათვის ეთიკის კოდექსის შემუშავება;
- „საზოგადოებასთან“ დაკავშირებული პოლიტიკის და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცება და შესწორება;
- „საზოგადოების“ საბუღალტრო აღრიცხვისა და მისი ქონებრივი ობიექტების შემოწმება, მათ შორის, „საზოგადოების“ სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის შემოწმება პირადად, ცალკეული წევრების ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით;
- „საზოგადოების“ საქმიანობის ანგარიშის (შვილობილ და მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით) მოთხოვნა დირექტორისაგან და დამოუკიდებელი შემოწმების შესახებ ინფორმაციის განხილვა;
- აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებების მოწვევა, თუ აღნიშნულს მოითხოვს „საზოგადოების“ ინტერესები;
- დირექტორის წლიური ანგარიშების და მოგების განაწილების წინადადების განხილვა;
- „საზოგადოების“ წარმოდგენა დირექტორის წინააღმდეგ აღძრულ სასამართლო პროცესებზე. სამეთვალყურეო საბჭოს, თუ საკითხი ეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, შეუძლია აღძრას სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე ან მის საწინააღმდეგოდ;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- გადაწყვეტილებების მიღება კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

- სხვა კომპანიებში წილებისა და აქციების შეძენა და გადაცემა, თუკი ამგვარი წილის/აქციების მოცულობა აღემატება ამგვარი კომპანიის მთლიანი კაპიტალის 50% ან გარიგების ღირებულება აღემატება წინა კალენდარული თვის დასასრულისთვის არსებულ „საზოგადოების“ საბალანსო ღირებულების 2%-ს (ორ პროცენტს);
- უძრავი ქონების და ქონებრივი უფლებების შეძენა, გადაცემა და დატვირთვა, თუკი ამგვარი გარიგება სცილდება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის სფეროს ან მისი ღირებულება აღემატება 250,000.00 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში.
- ფილიალების დაფუძნება და ლიკვიდაცია;
- ინვესტიციები, რომლის ღირებულებაც, ცალკე ან ჯამში, აღემატება წინა კალენდარული თვის დასასრულისთვის არსებულ „საზოგადოების“ საბალანსო ღირებულების 2%-ს (ორ პროცენტს);
- კრედიტების და სესხების აღება იმ ოდენობით, რომლის ღირებულებაც აღემატება წინა კალენდარული თვის დასასრულისთვის არსებულ „საზოგადოების“ საბალანსო ღირებულების 2%-ს (ორ პროცენტს);
- კრედიტების და სესხების უზრუნველყოფა, თუ ისინი სცილდება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის სფეროს;
- სამეურნეო პოლიტიკის საერთო პრინციპების, ბიზნეს გეგმისა და „საზოგადოების“ განვითარების სტრატეგიის დადგენა, წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- „საზოგადოების“ ხელმძღვანელობის ანაზღაურების და/ან დამატებითი სარგებლის განსაზღვრა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გათავისუფლება;
- იმ შეთანხმების ან ხელშეკრულების (ხელშეკრულებების) დამტკიცება, რომლის შესაბამისად „საზოგადოების“ მიერ გაწეული ერთჯერადი ან რამოდენიმე ეტაპად გაღებული ხარჯი აღემატება წინა კალენდარული თვის დასასრულისთვის არსებულ „საზოგადოების“ საბალანსო ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს);
- საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
- „საზოგადოების“ მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- სხვა ისეთი საქმიანობა, რომელიც შესაძლოა განსაზღვრული იყოს შესაბამისი კანონმდებლობით.

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

არაფინანსური ანგარიშგება

სტრატეგიული კომუნიკაციის დაგეგმვისას სს „გრინვეი საქართველო“ საკომუნიკაციო პოზიციონირებისთვის შეარჩია უსაფრთხო გარემო და გარემოზე ზრუნვა, რაზეც კომპანიის სახელწოდებაც მეტყველებს - GREEN WAY მწვანე გზას ნიშნავს.

2024 წლის სტრატეგიული კომუნიკაციის დაგეგმვისას სს „გრინვეი საქართველო“ ძირითადი აქცენტი გააკეთა უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, რაც აისახა მთელი წლის საკომუნიკაციო სხვადასხვა აქტივობაში.

ცნობიერების ამაღლება და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

აღსანიშნავია, რომ „გრინვეი საქართველო“ როგორც რეფორმის ყველაზე დიდი განმახორციელებელი პირველი დღიდანვე გრძნობდა პასუხისმგებლობას და გააზრებული აქვს რომ გარდა კანონის შესაბამისად ავტომობილებისთვის ტექდათვალიერების ჩატარებისა, მისი ერთ-ერთ მთავარი ფუნქციაა იზრუნოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე, ამ მიმართულებით მჭიდროდ იმუშაოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. წლების განმავლობაში გრინვეი წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა კამპანიებს ამ მიმართულებით.

ცნობიერების ამაღლება და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ნიშანდობლივია, რომ „გრინვეი საქართველო“ თავისი დაარსების დღიდან იაზრებს დაკისრებულ პასუხისმგებლობას, შესაბამისად, რეფორმისა და მთელი ინდუსტრიის წინაშე, გარდა ავტომობილების ინსპექტირებისა, საკუთარ თავზე იტვირთა სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციც, რაც ეხება, საზოგადოების დროულ ინფორმირებას, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვას, ტექნოსპექტირების რეფორმისა და მისი დადებითი გავლენის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

შესაბამისად, დასახული მიზნების განხორციელებისათვის „გრინვეი საქართველო“ იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებსა და ქმნის მრავალფეროვან საკომუნიკაციო კონტენტს.

დასაწყისისათვის აღვნიშნავთ, რომ 2024 წლის 15 აგვისტოს „გრინვეი“ 6 წლის გახდა. ამ წლების განმავლობაში იგი სრულად ემსახურება რეფორმის სრულფასოვნად და ჯეროვნად განხორციელებას, რასაც თავად მისი საქმიანობა მოწმობს. <https://greenway.ge/ka/news/grinvei-6-wlisaa---grinveisTan-erTad-swor-gzas-adgaxar>

კომპანიის 2024 წლის საკომუნიკაციო აქტივობების უმეტესი ნაწილი მიეძღვნა ტექნოსპექტირების რეპრეზენტირებას არა როგორც სავალდებულო პროცედურისა, არამედ სამოქალაქო პასუხისმგებლობის, რომელში თითოეული მძღოლის წვლილი მნიშვნელოვანია.

ყველაფერ აღნიშნულსა და არა მარტო შეიძლება სწორ გზაზე სვლა ვუწოდოთ. 2024 წლის კამპანია სწორედ ამ სახელწოდებას - „სწორ გზას ადგახარ“, ატარებდა. რაც თავის თავში რამდენიმე მიმართულებას აერთიანებდა. წარმოდგენილ კამპანიას მიეძღვნა ერთი ძირითადი ვიდეო: <https://fb.watch/xQfWUHYTj4/>

გამომდინარე იქიდან, რომ ტექნოსპექტირების რეფორმა გულისხმობს გარემოსა და ეკოლოგიაზე ზრუნვას, კომპანიის მთავარი საკომუნიკაციო რიტორიკაც სწორედ ამ ძირითად თემებს ეხება, თუმცა არა მხოლოდ, რადგანაც, უსაფრთხო გარემო თავის თავში ბევრ სხვადასხვა კომპონენტს აერთიანებს, მაგალითად, რაზე მოწმდება ავტომობილი ტექნოსპექტირებისას. აღნიშნული კამპანია „სწორ გზას ადგახარ“ კი სწორედ ამ მიმართულებებს ეხება და აგრეთვე გულისხმობს „გრინვეის“ როგორც ბრენდის ფილოსოფიას, ხედვასა და ღირებულებებს.

2024 წელს ამ მიმართულების საკომუნიკაციო აქტივობებით გვინდოდა გვეთქვა, რომ როდესაც მძღოლი უსაფრთხოებაზე ზრუნავს იგი პიდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც სწორ გზას „გრინვეიმ“ ხაზი გაუსვა, რომ წარმატებით ტექნოსპექტირებული ავტომობილით სწორ გზას ვადგავართ. <https://fb.watch/xRx4LU2HIy/> ; <https://www.marketer.ge/grinvei-6-tslis-gakhda/>

კამპანია „სწორ გზას ადგახარ“ არ არის მხოლოდ მარკეტინგული ინიციატივა - იდეა გრინვეის კორპორატიულ სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი ნაწილია. დროული ინსპექტირების მნიშვნელობის ხაზგასმით, კამპანია

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ხელს უწყობს გზაზე მანქანების უსაფრთხოდ გადაადგილებას, რითაც უბედური შემთხვევების წარმოქმნის რისკების არიდებაც იქნება შესაძლებელი. აღნიშნულ კონცეფციაზე კრეატიულმა სააგენტომ „კრაკენმა“ იმუშავა, რომელთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავებული იყო აღნიშნული ვიდეო რგოლი და სხვადასხვა პრინტ მასალა. ისინი კი მიზნად ისახავდნენ მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებას, რადგან გამართული მანქანით გადაადგილება ავტომგზაგარეშისთვის სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილიცაა და კამპანიის მესიჯი სწორედ აქეთვეა მიმართული.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=895998075904758&set=a.611081081063127>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=897891905715375&set=a.611081081063127>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=901141995390366&set=a.611081081063127>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=903172028520696&set=a.611081081063127>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=904942428343656&set=a.611081081063127>

2023 წელს დაწყებული პროექტი „უფურცლობა“ 2024 წელსაც წარმატებით მიმდინარეობდა და მთლიანი წლის განმავლობაში გრინვეის სერვის ცენტრებში ფურცლის მოხმარება შემცირებულია 78% ით. („უფურცლობის პროექტი“ მორიგი ინოვაციური და ეკომეგობრული პროექტია გრინვეისგან. რომელიც, ტექნოსპექტირების ფურცლის „გაქრობის“ და მისი sms საბუთით ჩანაცვლების იდეას ემსახურება.)

2024 წლის განმავლობაში განხორციელებული სხვა აქტივობები:

საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა „გრინვეისათვის“ არა მხოლოდ ერთი კამპანიის თვითმიზანი, არამედ მთელი საკომუნიკაციო აქტივობების შინაარსია. ერთ-ერთი ასეთი რუბრიკაა სახელწოდებით „რა მოწმდება ტექნოსპექტირებისას?“ რომელიც 2024 წლის ზაფხულის ბოლოდან დაიწყო, შეიცავს 16 პოსტს და 2025 წლის ზაფხულზე ამიწურება. იგი შემცნებითი სახის კონტენტი და თითოელი მათგანი მოიცავს ყოველ საფეხურს იმის შესახებ თუ რა მოწმდება ტექნოსპექტირებისას.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=931180219053210&set=a.611081081063127>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=936819408489291&set=a.611081081063127>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=939590671545498&set=a.611081081063127>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=949513787219853&set=a.611081081063127>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=958249919679573&set=a.611081081063127>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=988594859978412&set=a.611081081063127>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=1038162978354933&set=a.611081081063127>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=1045743617596869&set=a.611081081063127>

შემცნებითი კონტენტი არ მოიცავს მხოლოდ ფოტო სთორებს როგორც ეს ზემოთ განვიხილეთ, არამედ ვიდეო მასალასაც, რაც Usaid-თან თანამშრომლობის შედეგად დამზადდა. მათი მიზანია აგრეთვე საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება და სრულად აღწერს ტექნოსპექტირების პროცესს.

<https://www.facebook.com/umartivesad.ge/videos/1479647932908742/>

<https://www.facebook.com/umartivesad.ge/videos/813544256814307>

<https://www.facebook.com/umartivesad.ge/videos/429659706623794>

<https://fb.watch/xRAa8MhCaZ/>

<https://www.facebook.com/umartivesad.ge/videos/869251367926114>

<https://www.facebook.com/umartivesad.ge/videos/195573788822413>

ამას გარდა, კომპანია „გრინვეისათვის“ მნიშვნელოვანია ქალების დასაქმება და თანაბარი შესაძლებლობებისათვის ხელის შეწყობა. რასაც USAID-თან ერთად მიუძღვნა ვიდეო და ფოტო ციკლი სახელწოდებით „თანაბარი შესაძლებლობები ტექნოსპექტირებაში.“ მისი მთავარი მიზანია ხაზი გაუსვას დასაქმებულთა პროფესიონალიზმს მათი სქესის მიუხედავად. აღნიშნული კონტენტის ვიდეოთა ციკლი გადმოგვცემდა ოთხი ქალი ინსპექტორის ინსტერვიუს, რომელშიც ისინი თავისი სამსახურისა და კარიერის შესახებ მოგვითხრობდნენ. ხოლო ფოტო სთორი მათ ძირითად სათქმელს ამყარებდა.

<https://www.facebook.com/umartivesad.ge/videos/442407995014452/>

<https://www.facebook.com/umartivesad.ge/videos/1400635380569641>

<https://www.facebook.com/umartivesad.ge/videos/388500104013783>

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

<https://www.facebook.com/umartivesad.ge/videos/1002969741556839>

<https://www.facebook.com/umartivesad.ge/videos/466423652595965>

<https://www.facebook.com/photo.php?fbid=925236856057417&set=pb.100057133342697.-2207520000&type=3>

<https://www.facebook.com/photo.php?fbid=928408339073602&set=pb.100057133342697.-2207520000&type=3>

<https://www.facebook.com/photo.php?fbid=932271878687248&set=pb.100057133342697.-2207520000&type=3>

<https://www.facebook.com/photo.php?fbid=936814221566347&set=pb.100057133342697.-2207520000&type=3>

<https://www.facebook.com/photo.php?fbid=936814221566347&set=pb.100057133342697.-2207520000&type=3>

კომპანიას თავის საკომუნიკაციო სტრატეგიაში მუდმივად აქვს გათვალისწინებული გარემოზე ზრუნვის მნიშვნელოვანი კალენდრული დღეები, სწორედ ერთ-ერთი ასეთია გარემოს დაცვის დღე - 5 ივნისი. წლებიდან გარემოს დაცვის მსოფლიო დღის თემა - მიწის აღდგენა, გაუდაბნობასთან ბრძოლა და გვალვამდობაა. ეს საკითხები ისეთ გლობალურ გამოწვევებს ეხმარება, როგორიცაა: კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა, სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, წყლის რესურსების მენეჯმენტი, მდგრადი განვითარება, ადამიანთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა და სხვა.

<https://www.facebook.com/photo/?fbid=873887181449181&set=a.611081081063127>

კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღი 22 აპრილია - დედამიწის დღე. იგი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მილიონობით ადამიანს აერთიანებს. 2024 წლის დედამიწის დღის თემაა „პლანეტა პლასტმასას წინააღმდეგ“, რაც გულისხმობს იმას, რომ დროა ყველა ერთად შევეუბნოთ ბრძოლას პლანეტის მომავლისათვის - შევამციროთ პლასტმასის მოხმარება და ერთად ვიპოვოთ ეკო მეგობრული გზები.
<https://www.facebook.com/photo/?fbid=844537001050866&set=a.611081081063127>

აგრეთვე 18 მარტს ტყის საერთაშორისო დღე აღინიშნება, რაც „გრინვეისათვის“ ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია, რადგანაც 2023 წლის „უფურცლობის“ კამპანიის ფარგლებში, 78%-ით შემცირდა ფურცლის გამოყენება. ამიტომ 2024 წლის სტრატეგიულ კომუნიკაციაში ამ დღის აღსანიშნავად კომპანიამ შეაჯამა და აღნიშნა, რომ მის მიერ შემცირებული ფურცლის გამოყენების ოდენობით 18 ხე გადარჩა და 176,482 ფურცელი დაიზოგა.
<https://www.facebook.com/photo/?fbid=823442559826977&set=a.611081081063127>

„გრინვეი“ ქვეყანაში ტექნოსექტორების რეფორმის წარმატებით განხორციელებას ემსახურება, რომელსაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ჩაეყარა საფუძველი და საქართველომ იტვირთა დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, ევროინტეგრაციის გზაზე „გრინვეის“ მუშაობა ძალზედ მნიშვნელოვანია, რა დროსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს იძენს ქვეყნის დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ევროპული ღირებულებები. ამიტომაც, „გრინვეის“ საკომუნიკაციო სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა 26 მაისია. კომპანიის კომუნიკაციით იგი გაიგივებულია ქვეყნის ევროპულ მომავალთან, სპეციალურად ამ დღისათვის შექმნილ ვიდეორგოლში თანამშრომლები საუბრობდნენ გრინვეის საქმიანობაზე, ქვეყნის დამოუკიდებლობაზე და დღის მნიშვნელობაზე მათთვის.

<https://fb.watch/xRDmtwzbAJ/>

<https://www.facebook.com/photo/?fbid=867493425421890&set=a.611081081063127>

უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის შემოდგომაზე USAID-სა და „გრინვეი საქართველოს“ შორის ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში მთლიანად PTI ინდუსტრიისთვის უნიკალური პროექტი დაიწყო. დაფუძნდა „გრინვეი აკადემია“, რომლის ფარგლებშიც არამარტო გრინვეისთვის, არამედ მთელი ინდუსტრიისთვის იქმნება შესაძლებლობა ერთიანი სტანდარტებით მომზადდეს და გადამზადდეს დასაქმებული თუ მაძიებელი ინსპექტორები. <https://fb.watch/xSDFrZ662t/> „გრინვეი აკადემიამ“ 2024 წელს არა ერთი საინტერესო პროექტი განახორციელა. 30-31 იანვარს, გაიმართა ტრენინგი გრინვეისა და ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის და ასევე უშუალოდ ტრენერთათვის. ღონისძიების მსვლელობისას დეტალურად იქნა მიმოხილული სასწავლო მოდულები, ვიდეო გაკვეთილები, სასწავლო პლატფორმის academy.greenway.ge სამუშაო პრინციპები და შესაძლებლობები.

ორ დღიან ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს პროექტის მხარდამჭერებმა და საერთაშორისო პარტნიორებმა, როგორებიცაა: CITA - სატრანსპორტო საშუალების ინსპექტორების საერთაშორისო კომიტეტი; Applus - ავტომობილების ტექნიკური ინსპექტორების მსოფლიო ლიდერი კომპანია; „Applus+“, რომელიც მსოფლიოს 70 ქვეყანაში ოპერირებს; USAID - აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; ; ტექნოსექტორზე უსაფრთხოებისთვის - ტექნოსექტორების ცენტრების კავშირი. <https://greenway.ge/ka/news/-grinvei-akademiis--farglebshi-treningebi-chatarda> რის შემდეგაც, 1 თებერვალს შედგა პროექტის პრეზენტაცია.

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

პრეზენტაციას ესწრებოდნენ, როგორც სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე საერთაშორისო პარტნიორები და მხარდამჭერები: დევიდ ბლოდი - USAID-ის პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ ხელმძღვანელი; ედუარდ ფერნანდესი - CITA-ს (სატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების საერთაშორისო კომიტეტის) აღმასრულებელი დირექტორი; ჰანს-იურგენ შიმპგენი - Applus-ის ვიცე პრეზიდენტი; საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ხელმძღვანელი.

<https://greenway.ge/ka/news/-grinvei-akademia----proeqtis-prezentacia/>

<https://fb.watch/xSE2kggVh7/>

<https://www.facebook.com/share/p/18QpdtSESw/>

<https://fb.watch/xSE4NwedX8/>

<https://fb.watch/xSE5HfXKz6/>

<https://fb.watch/xSE6q1EUvZ/>

https://citainsp.org/2024/02/08/greenway-academy/?fbclid=IwY2xjawljxjJleHRuA2FlbQIxMQABHRSkiK7VtO7P054GDJ1c05g-JaYihZtjkmcpOTYSROVYJSVSJCJOaFXT1A_aem_mUkHp99q7h2m0osd8Ycxag



USAID
ამერიკელი საზღვარგარეთის
დახმარების აგენტობა



გრინვეი
ტექნიკური განათლების ცენტრი



გრინვეი აკადემია

აღსანიშნავია, რომ „გრინვეი აკადემია“ მთელი წლის განავლობაში აქტიურად მართავდა სხვადასხვა სახის ტრენინგებს, რამდენიმე სესიად, სადაც განხილული იყო პრაქტიკული და თეორიული არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

https://bm.ge/news/grinvei-akademiashi-sapilote-treningebi-daitso?fbclid=IwY2xjawljxuxleHRuA2FlbQIxMQABHb7P8ZaDrba3iqRbIFnriQmlZKkYT-bSM-tejG4zbvqqeUeEHVmqOTNMQQ_aem_tCt-R1tmRZ47QkoOSMF8Gw

<https://greenway.ge/ka/news/-grinvei-akademiashi--sapilote-treningebi-daiwyo->

<https://greenway.ge/ka/news/-grinvei-akademiis--farglebshi-sapiloto-treningebi-grZeldeba>

<https://greenway.ge/ka/news/servis-plusis-treningebi-inspektorebisTvis>

<https://greenway.ge/ka/news/-grinvei-akademia----proeqtis-warmatebuli-dasasruli>

<https://www.facebook.com/share/p/1BRAWB92bQ/>

<https://greenway.ge/ka/news/momsaxurebis-gaumjobesebis-treningebi-grZeldeba>

<https://greenway.ge/ka/news/-grinvei-akademiis--praqtikuli-treningebi>

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

გარემოზე ზრუნვა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

„გრინვეი საქართველო“ აქტიურად მუშაობს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან რეგულაციის გამოწვევის და განვითარების მიმართულებით.

მნიშვნელოვანია რომ „გრინვეი საქართველოსთან“ ინიცირებით მოხდა 2020 წლის გამონაბოლქვის ზღვარის ცვლილება და კატალიზური კონვერტორის აუცილებლობა ყველა იმ ავტომობილისთვის რომელიც 2020 წლის 1 აპრილიდან შემოდის ქვეყანაში. ამ ავტომობილებისთვის აუცილებელი მოთხოვნაა კატალიზური კონვერტორის ქონა და ზღვარი 0.5., 0.3. ხოლო 2020 წლის აპრილამდე ქვეყანაში შემოსული ავტომობილებისთვის ზღვარი გამკაცრდა და გახდა 0.6, 0.6.

2023 წლიდან დაიგეგმა გამონაბოლქვის ზღვარის ცვლილება ეტაპობრივად 2020 წლის აპრილამდე შემოსული ავტომობილებისთვისაც

2024 წლის 1 იანვრიდან, 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებული ტექნიკური ინსპექტირებისას გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტი: ძრავას უქმს ვლზე -0,5% და ძრავას უქმს ვლზე მაღალი ბრუნთა რიცხვით (არანაკლებ 2 000 ბრ/წთ-ისა) - 0.5%;

ეს სიახლე შეეხება 2020 წლის 1 აპრილამდე საქართველოში პირველად რეგისტრირებულ ავტომობილებს, რომლებიც ამჟამად მოწმდებიან 0,55%-ზე.

ხოლო, 2025 წლის 1 იანვრის შემდგომ იგეგმება მათი ტექნიკური ინსპექტირებისას შემდეგი კოეფიციენტის გამოყენება: ძრავას უქმს ვლზე -0,5% და ძრავას უქმს ვლზე მაღალი ბრუნთა რიცხვით (არანაკლებ 2 000 ბრ/წთ-ისა) - 0.3%.

ამ მიმართულებით მსგავსი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია რადგან რეფორმა იყოს წარმატებული და თითოეულმა მოქალაქემ უკვე ხელშესახებად იგრძნოს გარემოზე ზემოქმედების ცვლილებები.

ადამიანური კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „გრინვეი საქართველოში“ დასაქმებული თანამშრომლების სრული რაოდენობა შეადგენდა 266 ადამიანს. კომპანიისთვის უპირობოდ მნიშვნელოვანია თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა გენდერული მრავალფეროვნება, თანაბარი მოპყრობა დასაქმებისა და პროფესიულ სფეროში. ამასთან, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა და წარმოადგენს რეგიონებში სერვის ცენტრების ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტება.

სს „გრინვეი საქართველო“ დასაქმებულებს ევროპული სტანდარტის სამუშაო პირობებს სთავაზობს. კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია შრომითი უსაფრთხოება, სს „გრინვეი საქართველო“ ყველა დასაქმებულს უზრუნველყოფს ჯანმრთელობის სამედიცინო დაზღვევით და ანაზღაურებადი კუთვნილი შვებულებით. ასევე, იმისათვის რომ კომპანია მაქსიმალურად დაუახლოვდეს მომსახურების ევროპულ სტანდარტს და პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა იყოს წარმატებული, კომპანია მუდმივად ზრუნავს საკუთარი გუნდის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სს „გრინვეი საქართველოსთვის“ უმნიშვნელოვანესია მაღალი ხარისხის და ევროპული სტანდარტის მომსახურების მიწოდება, რაც გამორიცხულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე დასაქმებულების გარეშე. ამიტომ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და დასაქმებულთა ცოდნის, გამოცდილების და უნარების ამაღლებაზე ზრუნვა 2024 წლის განმავლობაშიც პრიორიტეტული იყო.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს USAID-ის პროექტის ფარგლებში დაიწყო „გრინვეი საქართველომ“ „გრინვეი აკადემიის“ შექმნა, რომლის მთავარი მისია იყო თანამშრომლების ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლება, პროფესიონალი ტრენერების მიერ ჩატარებული პრაქტიკული და თეორიული ტრენინგების დახმარებით. შეიქმნა სასწავლო მოდულები, გაიწერა აკადემიის სტრატეგია, ასევე, შეიქმნა პორტალი „academy.greenway.ge“, რომლის მეშვეობითაც ატესტაციის და სწავლების პროცესი სრულად გაციფრულდა და სასწავლო პროცესი უფრო მოქნილი და ეფექტური გახდა.

2024 წელს ჩატარდა კვარტალური ტრენინგები და ატესტაციები, რომლის საშუალებითაც დატრენინგდა და გადამზადდა 300 მდე თანამშრომელი. ტრენინგები მოიცავდა როგორც ტექნიკური ოპერაციების თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს, ასევე სერვის პლუსის მიმართულებას.

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2024 წელს გაიწერა და ჩაეშვა მენტორიგის პროცედურა, რომელიც ემსახურება ახალი თანამშრომლების ეფექტურად ადაპტაციას სამუშაო ადგილთან და მათი პროფესიული უნარების სწრაფ განვითარებას.


კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების კუთხით, შექმნილია ტრენინგ ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალი შიდა ტექნიკური ტრენერებით, რომლებიც 2018 წლის ზაფხულში გადამზადდნენ 2-თვიანი ინტენსიური გადამზადების პროგრამის ფარგლებში კომპანია „აპლუსის“ მიერ.

ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო და პროცედურულ საკითხებს. ძირითადი ტრენინგ პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს 120 საათს. ხოლო, განმეორებითი ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენს 40 საათს.


2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით 120 საათიანი შიდა ტექნიკური ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 65 თანამშრომელი, ხოლო 40 საათიანი განმეორებითი ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 150 თანამშრომელი. 2024 წელს

ჩატარდა ასევე ლიდერშიფის ტრენინგი მენეჯერული როლის თანამშრომლებისთვის. აღნიშნული ტრენინგები იქნება განგრძობითი ხასიათის და გაგრძელდება 2025 წლესაც.

გენდერული ბალანსი: თანამშრომელთა გადანაწილება თბილისსა და რეგიონებში. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით სულ თანამშრომლების რაოდენობა - 266.



მ ე ნ ე ჯ ე რ უ ლ პ ო ზ ი ც ი ე ბ ზ ე მ ო მ უ მ ა ვ ე თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა - 42



დასაქმებისა და სამუშაო პირობების მიმართულებით, კომპანიაში მოქმედებს ერთიანი სტანდარტიზებული სისტემა. ყველა აპლიკანტი გადის შერჩევისა და გადამზადების სტანდარტულ ეტაპებს და ამ ეტაპის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში, დასაქმდება შესაბამის პოზიციაზე.

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპანიის ანაზღაურების სისტემა მოიცავს ფიქსირებული შრომის ანაზღაურებისა და საბონუსე ნაწილს. კვალიფიკაციის ზრდისკენ მიმართულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც მოიცავს გადამზადების ინტენსიურ პროგრამას წელიწადში მინიმუმ 3-ჯერ. ამასთან, საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად ხორციელდება თანამშრომელთა გადამზადება როგორც საკანონმდებლო, ასევე - პროცედურულ ნაწილში.

კარიერული განვითარებისა და ზრდის შესაძლებლობა ეძლევა ყველა თანამშრომელს. კომპანიის პოლიტიკით, მაღალ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიების არსებობისას, პირველ რიგში, განიხილება შესაბამისი კომპეტენციის მქონე შიდა რესურსი. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მასშტაბით სხვადასხვა პოზიციაზე დაწინაურებული თანამშრომლების რაოდენობა ჯამში შეადგენს 79-ს, რაც თანამშრომელთა სრული რაოდენობის 30%-ს შეადგენს.

ანტიკორუფციული პოლიტიკა, პროცედურები და სტანდარტები, შიდა კონტროლი

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურები, რომლებსაც ადგენს ხარისხის კონტროლის და შრომის უსაფრთხოების განყოფილება. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ძირითადი ფუნქციებია:

- კომპანიის მთავარი დოკუმენტის ხარისხის სახელმძღვანელოს შემუშავება, დანერგვა და შესრულების კონტროლი;
- ანტიკორუფციული პოლიტიკის დანერგვა, განხორციელება და შესრულების კონტროლი;
- პროცედურებისა და კომპანიის პოლიტიკის სრულფასოვნად და ჯეროვნად შესრულების კონტროლი;
- კომპანიის ინფორმაციული და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კორპორაციული უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავება, დანერგვა და შესრულების კონტროლი;
- ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასება და მუდმივი მონიტორინგი; ამ პროცესის ეფექტური მართვისთვის შემუშავდა და დაინერგა ტექ. პერსონალის მონიტორინგის აღრიცხვის ფორმა; ასევე საანგარიშო პერიოდში ქრთამის შეთავაზების ფაქტებზე ხორციელდება საკონტროლო შესყიდვები და ყოველივე ფაქტი დაუყუვნებლივ რეპორტირდება წერილობით შესაბამის მეილზე.
- ინსპექტირების ანგარიშების მუდმივი მონიტორინგი;
- კონკრეტული პრობლემატური შემთხვევების გამოკვლევა, რისკების მართვა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
- შრომის უსაფრთხოების მიმართულებით პროცესების მართვა და კონტროლი. ყოველთვიურად წინასწარ შემუშავებული ინსპექტირების ჩეკ-ლისტის მეშვეობით მოწმდება თოთოეული სერვი ცენტრები ხდება პერსონალის გამოკითხვა, ინციდენტების შეფასება; სამუშაო ადგილის დათვალიერება; მოწყობილობების შეფასება; სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან

სს „გრინვეი საქართველო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს

დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოყვანილი ანალიზი მოიცავს მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. არ არსებობს სავალუტო რისკის არსებობის შესაძლებლობა არაფულად აქტივებში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2024 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არა-დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა-დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სს „გრინვეი საქართველო“
 მმართველობითი ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2024	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	225,222	-	-	225,222
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,850,157	-	-	1,850,157
გაცემული სესხი	3,257,313	-	-	3,257,313
ინვესტიციები	-	109,746	-	109,746
სულ ფინანსური აქტივები	5,332,692	109,746	-	5,442,438
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,826,961	-	-	1,826,961
მიღებული სესხი	3,874,020	14,055,353	709,496	18,638,869
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	262,968	5,000,000	-	5,262,968
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	504,971	1,507,221	195,370	2,207,562
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,468,920	20,562,574	904,866	27,936,360
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(1,136,228)	(20,452,828)	(904,866)	(22,493,922)

31 დეკემბერი 2023	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	151,551	-	-	151,551
ფული და ფულის ეკვივალენტები	386,691	-	-	386,691
გაცემული სესხი	5,853,001	-	-	5,853,001
ინვესტიციები	-	150,838	-	150,838
სულ ფინანსური აქტივები	6,391,243	150,838	-	6,542,081
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,109,854	-	-	2,109,854
მიღებული სესხი	3,763,791	16,457,491	2,115,296	22,336,578
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	454,107	7,600,000	-	8,054,107
სულ ფინანსური ვალდებულებები	395,556	1,649,529	232,741	2,277,826
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	6,723,308	25,707,020	2,348,037	34,778,365

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 აპრილს:

ვახტანგ ებიტაშვილი
 დირექტორი

გვანცა ბერუჩაშვილი
 ფინანსური დირექტორი

სს „გრინვეი საქართველო“
მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2024	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	225,222	-	-	225,222
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,850,157	-	-	1,850,157
გაცემული სესხი	3,257,313	-	-	3,257,313
ინვესტიციები	-	109,746	-	109,746
სულ ფინანსური აქტივები	5,332,692	109,746	-	5,442,438
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,826,961	-	-	1,826,961
მიღებული სესხი	3,874,020	14,055,353	709,496	18,638,869
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	262,968	5,000,000	-	5,262,968
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	504,971	1,507,221	195,370	2,207,562
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,468,920	20,562,574	904,866	27,936,360
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(1,136,228)	(20,452,828)	(904,866)	(22,493,922)

31 დეკემბერი 2023	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	151,551	-	-	151,551
ფული და ფულის ეკვივალენტები	386,691	-	-	386,691
გაცემული სესხი	5,853,001	-	-	5,853,001
ინვესტიციები	-	150,838	-	150,838
სულ ფინანსური აქტივები	6,391,243	150,838	-	6,542,081
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,109,854	-	-	2,109,854
მიღებული სესხი	3,763,791	16,457,491	2,115,296	22,336,578
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	454,107	7,600,000	-	8,054,107
სულ ფინანსური ვალდებულებები	395,556	1,649,529	232,741	2,277,826
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	6,723,308	25,707,020	2,348,037	34,778,365

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიულ მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 აპრილს:

ვახტანგ ებიტაშვილი
დირექტორი

გვანცა ბერუჩაშვილი
ფინანსური დირექტორი

